

სარძევე ჯირკვლის კიბოს გავრცელება, რისკი და მართვა რუსუდან შუბითიძე¹, ეთერ ყიფიანი²

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

¹საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი; ²ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პროგრამების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი

2012 წელს GLOBOCAN-ის მიერ გამოქვეყნებული სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სტანდარტიზირებული ავადობის მაჩვენებლების დინამიკის შეფასება გვიჩვენებს, რომ ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში სარძევე ჯირკვლის ინციდენტობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ავსტრალიაში, კანადასა და აშშ-ში ინციდენტობა შემცირდა, რაც შეეხება ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია სკრინინგული პროგრამების დანერგვასთან. საქართველოში ქალთა შორის კიბოს ყველაზე გავრცელებულ ლოკალიზაციად სარძევე ჯირკვლის კიბოა მიჩნეული. მის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს რადიაციული დასხივების ზონაში ცხოვრება, ცხოვრების არაჯანსაღი წესი, მემკვიდრული წინასწარგანწყობა, ორსულობა და მშობიარობა 30 წლის ასაკის შემდგომ, ჭარბი წონა და გინეკოლოგიური პრობლემები. 2015 წელს სარძევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 1838 შეადგენს. მისი წილი ქალებში რეგისტრირებული ლოკალიზაციის ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში კი 34,4%-ია. ავადობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე 94,7. ახალი შემთხვევების რაოდენობა პრევალირებს 50-70 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. რეგისტრის მონაცემების მიხედვით სარძევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების მხოლოდ 52,2%- ია გამოვლენილი I და II სტადიაში, III სტადიაში 25,9%, IV- ში კი 14,1%, უცნობია -8,1%. 2011 წლიდან საქართველოში მოქმედებს სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 40-70 წლის ქალების გამოკვლევას. მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფებიდან 2015 წელს გამოკვლევა ჩაიტარა 10,4%. კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მცირედით გაზრდილია.

საკვანძო სიტყვები: სარძევე ჯირკვლის კიბო, ავადობა, სიკვდილიანობა, ასაკ-სტანდარტიზირებული ავადობის მაჩვენებელი, ასაკ-სტანდარტიზირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რადიაციული დასხივების ზონა, სკრინინგი.